



# WWW.MY.GOV.GE

## საინფორმაციო ფურცელი

გამოშვება #39

დეკემბერი, 2014

### გამოშვებაში წაიკითხავთ

### მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი გამოსცა

1 მონაცემთა  
გაცვლის  
სააგენტომ  
ელ.მმართველობის  
გზამკვლევი  
გამოსცა

2 ინოვაციური  
სერვისების  
ლაბორატორიის  
პრეზენტაცია

3 ინფორმაციული  
უსაფრთხოების  
პროექტები

3 ტრენინგი  
ინფორმაციულ  
უსაფრთხოებასა  
და  
კიბერინციდენტ  
ზე რეაგირების  
საფუძვლებში

4 CERT.GOV.GE-ს  
წარმომადგენლების  
ვიზიტი  
ახერბაიჯანში

4 ყოველწლიური  
სიმპოზიუმი  
WTIS 2014

5 და სხვა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ევროკავშირის ელექტრონული მმართველობის მექანიზმის (EU e-Governance Georgia) მხარდაჭერით ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი (სახელმძღვანელო) გამოსცა.

გამოცემა განკუთვნილია მე-11-12 კლასის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, პედაგოგებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისთვის. მასში განმარტებულია ელექტრონული მმართველობის რაობა და დანიშნულება. მოყვანილია საქართველოს მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული პროექტები, საინტერესო ვებრესურსები და ილუსტრაციები.

წიგნი მკითხველს დაეხმარება შეიქმნას ზოგადი წარმოდგენა ელექტრონული მმართველობის შესახებ და კონკრეტული მაგალითების მეშვეობით გაეცნოს ყოველდღიურ ცხოვრებაში

მის საჭიროებას.

„ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ელექტრონული მმართველობის თემატიკისადმი მიძღვნილი გზამკვლევი (სახელმძღვანელო) გამოვიდა ქართულ ენაზე. მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ამ მიმართულებით მასშტაბური სამუშაო გასწია და მოამზადა ფართო აუდიტორიისათვის მისაღებ ენაზე დაწერილი გზამკვლევი, რომელშიც გადმოცემულია ელექტრონული მმართველობის დანიშნულება, განმარტებულია სახელმწიფოში არსებული ელექტრონული სისტემებისა და სერვისების სპეციფიკა და გამოყენების არეალი, ასევე კიბერ და ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასარგებლო ინფორმაცია. (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(დასაწყისი გვ. 1)

ვიმედოვნებთ, რომ ეს არ იქნება პირველი შემთხვევა და მომავალშიც გავაგრძელებთ მსგავსი სახის გამოცემებზე მუშაობას.“ - განაცხადა **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო ელექტრონული მმართველობის გზამკვლევის გავრცელებას საქართველოს მასშტაბით განთავსებულ საჯარო სკოლებში გეგმავს. სახელმძღვანელოს წარდგინებისას სააგენტოს თანამშრომლები მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის პრეზენტაციებსაც ჩაატარებენ.

## ინოვაციური სერვისების ლაბორატორიის პრეზენტაცია



სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ 27 ნოემბერს „ინოვაციური სერვისების ლაბორატორიის“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება იუსტიციის მისიტრმა, **თეა წულუკიანმა** გახსნა. ლაბორატორია მიზნად ისახავს საჯარო და კერძო სექტორებში მომსახურების ხარისხისა და ეფექტურობის ასამაღლებლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ინოვაციებზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

ღონისძიებას სამინისტროების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ინოვაციური სერვისების ლაბორატორია შეიქმნა ინიციატივის „ინოვაციების კულტურის დანერგვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

აღსანიშნავია, რომ „ინოვაციური სერვისების ლაბორატორია“ მხარდაჭერას გაუწევს არა მხოლოდ იუსტიციის სამინისტროსა და მის შემადგენლობაში შემავალ სტრუქტურებს, არამედ სხვა სახელმწიფო უწყებებსაც, შექმნან ახალი, თანამედროვე, ინოვაციური სახელმწიფო სერვისები.

„ინოვაციების ლაბორატორია“ მოიცავს ახალი პროდუქტის შექმნის სრულ ციკლს, დაწყებული ახალი პროდუქტის (სერვისის) შესახებ იდეის ფორმულირებით და ამ იდეის განხორციელებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით დასრულებული. შედეგად, სახელმწიფო სერვისები მაქსიმალურად დაუახლოვდება მოქალაქეების მოლოდინებს.

აღსანიშნავია, რომ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში, ასევე, მოხდა „ლაბორატორიაში“ მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და ინოვაციების მენეჯმენტის სხვადასხვა მეთოდოლოგიის გაცნობა.



## საჯარო რეესტრისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოები ინფორმაციული უსაფრთხოების პროექტს ახორციელებენ



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოები, რომლებიც კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებს წარმოადგენენ, ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნებისა და შესაბამისობის პროექტს ახორციელებენ.

პროექტის მიზანია აღნიშნულ ორგანიზაციებში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა. პროექტის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს აქვს კონსულტანტის როლი, რაც გულისხმობს ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს

კანონისა და არსებული საუკეთესო პრაქტიკების საფუძველზე, შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნების შესრულების ხელშეწყობას.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში პროექტი დასკვნით ეტაპზეა.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში პროექტი დასრულდება 2015 წლის აპრილში.

## ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებსა და კიბერინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში



17-26 ნოემბერს იუსტიციის სასწავლო ცენტრში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ჩატარდა მორიგი ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებსა და კიბერინციდენტებზე რეაგირების თემატიკაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტები, ისე კომერციული ბანკების წარმომადგენლები.

ტრენინგის პირველი ნაწილი მიემდგვნა ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ასევე, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დაგეგმვის, დანერგვისა და აუდიტის ეტაპების გაცნობას, ხოლო მეორე ნაწილი კი კიბერინციდენტებზე რეაგირების საფუძვლების გაცნობას დაეთმო.

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციული უსაფრთხოების პრაქტიკაში დანერგვის გზებს, რათა მათი დაწესებულების საქმიანობა თავსებადი იყოს საქართველოს კანონთან ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ.

კიბერინციდენტებზე რეაგირების ნაწილში კი ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ იმ თანამედროვე მეთოდებს, რომელიც დღეისათვის გამოიყენება კიბერინციდენტებზე რეაგირების მიმართულებით.

ტრენინგი 9 დღეს გრძელდებოდა და დასრულდა ტესტირებით ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერობის კანდიდატებისთვის, რომლის შედეგების შეფასების საფუძველზეც გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები, ხოლო კიბერინციდენტების რეაგირების საფუძვლებში კი მონაწილეებს ტრენინგზე დასწრების სერტიფიკატები გადაეცათ.

## CERT.GOV.GE-ს წარმომადგენლების ვიზიტი აზერბაიჯანში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლები აზერბაიჯანული მხარის მიწვევით იმყოფებოდნენ ქ. ბაქოში, სადაც 3 დღიანი ვიზიტის ფარგლებში ამავე ქვეყნის სამთავრობო CERT-ის (კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი) თანამშრომლებს გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფ CERT.GOV.GE-ს ჯგუფს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში დაუგროვდა.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. ვიზიტის ფარგლებში აზერბაიჯანელ კოლეგებს გავაცანიტ ის

საშუალებები, როელთა გამოყენებითაც ვახდენთ ინფორმაციულ და კიბერინციდენტებზე რეაგირებას და ვახორციელებთ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის სტანდარტების შექმნასა და დანერგვას.“ - განაცხადა **ირაკლი ლომიძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც CERT.GOV.GE-ს წარმომადგენლებს იწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში ტრენინგების ჩატარებისა თუ გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც ადასტურებს აღნიშნული ჯგუფის მაღალკვალიფიციურობასა და ეფექტიან მუშაობას.

## თბილისში ყოველწლიური მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ინდიკატორების მე-12 სიმპოზიუმი (WTIS-2014) გაიმართა



ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU), საქართველოს მთავრობისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით, თბილისში, სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ ყოველწლიური მსოფლიო სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების მე-12 სიმპოზიუმი (WTIS-2014) გაიმართა, რომელიც ოფიციალურად გახსნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**. სიმპოზიუმის გახსნის ცერემონიაში ასევე მონაწილეობდნენ ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU)

გენერალური მდივანი **ჰუოლინ ჟაო**, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის განვითარების ბიუროს დირექტორი **ბრაჰიმა სანოუ** და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**.

მსოფლიო სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების სიმპოზიუმი წარმოადგენს მთავარ გლობალურ ფორუმს ტელეკომუნიკაციების/ICT სტატისტიკის, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საკითხებში. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სპეციალიზირებული დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციების, ITU-ს წევრი სახელმწიფოების კავშირგაბმულობის ადმინისტრაციების და მარეგულირებელი ორგანიზაციების, ეროვნული სტატისტიკური ორგანიზაციების, ტელეკომუნიკაციების საოპერატორო კომპანიების წარმომადგენლები და ექსპერტები.

სიმპოზიუმზე ცნობილი გახდა, რომ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსში საქართველოს რეიტინგი ხუთი საფეხურით გაუმჯობესდა და 83-დან 78-ე ადგილზე გადაინაცვლა.

## საზოგადოებრივი ცენტრები მთელი საქართველოს მასშტაბით იხსნება



საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი ინიციატივაა, რომელიც ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭრით ხორციელდება. საზოგადოებრივი ცენტრების მიზანია მოსახლეობისათვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სოფლისგანვითარებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა. საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს სოფლიდან გაუსვლელად მიიღოს 200-ზე მეტი საჯარო და ყველაზე მოთხოვნი კერძო სერვისები. საზოგადოებრივი ცენტრში ასევე ხელმისაწვდომია შეხვედრების ოთახი, თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა, უფასო ინტერნეტი და კომპიუტერები.

სერვისებზე წვდომის გარდა ცენტრებს ეკისრებათ მედიუმის როლი მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორს საშუალება აქვს საზოგადოებრივი ცენტრი გამოიყენონ ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის წარსამართად, მათთვის ახალსერვისების, ინიციატივების, საკანონმდებლო ცვლილებების გასაცნობად და მოსახლეობის ინფორმირებულობის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩასატარებლად.

ამჟამად ფუნქციონირებს 17 საზოგადოებრივი ცენტრი შემდეგ სოფლებში: მეჯვრისხევი, მუხაესტატი, დუისი, შაშიანი, სართიჭალა, გომი, რუისი, ხევი, მანგლისი, კოდა, შორაპანი, ნიგოეთი, ჭალადიდი, ჯვარი, გეგუთი, კაჭრეთი და ფოკა.

## საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია

კონფერენცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით და ინტელის, მაიკროსოფტის, იუ-ჯი-თისა და ეისერის მხარდაჭერით მოეწყო, რომლის მიზანია ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების, საგანმანათლებლო სექტორში ინტეგრირებისა და განპირობებული ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების გაცნობა/გაზიარება მასწავლებლებს, ექსპერტებს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებსა და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს შორის.



კონფერენციაზე იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე ტენდენციები და განპირობებული ცვლილებები, საკლასო ოთახში არსებული ტექნიკური პრობლემების გადაჭრის გზები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც მონაწილეებს გააცნეს სააგენტოს საქმიანობის სფერო და გააკეთეს პრეზენტაციები საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. კონფერენციის მონაწილეებს ასევე მიეცათ საშუალება ადგილზევე დარეგისტრირებულიყვნენ მოქალაქის პორტალზე MY.GOV.GE და გაცნობოდნენ მისი მუშაობის პრინციპებსა და უპირატესობებს.

## მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საქმიანობის ამსახველი ანგარიში გამოსცა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ გამოსცა სპეციალური ბროშურა, რომელშიც გადმოცემულია სააგენტოს საქმიანობის, განხორციელებული, მიმდინარე და დასრულებული პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

ბროშურაში ასევე ასახულია ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც სააგენტოს დაარსებიდან დღემდე ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურისა და კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით ჩატარებულ სამუშაოებს უკავშირდება.

„ბროშურის დანიშნულებაა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს მკითხველმა - სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, პარტნიორებმა და ზოგადად ფართო აუდიტორიამ ჩვენი სააგენტოს სპეციფიკის, მუშაობის არეალისა და დანიშნულების შესახებ. ეს ასევე არის ერთგვარი ანგარიში უკანასკნელ პერიოდში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ,

რომელიც საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარებისა და კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევისკენ არის მიმართული.“ - განაცხადა **ირაკლი გვენტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

ბროშურა USAID-ის მხარდაჭერით გამოიცა.

## ღია მონაცემების დღეები ბიშკეკში



18-19 ნოემბერს ყირგიზეთის დედაქალაქში ღია მონაცემთა დღეები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენელმა, იურიდიული სამმართველოს უფროსმა **ნატა გოდერძიშვილმა**.

ყირგიზეთის ღია მონაცემთა დღეების ჩატარების მთავარი მიზანი იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით ღია მმართველობის მონაცემების შესახებ დისკუსიებისა და პრეზენტაციების წარმართვა.

2 დღიანი მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრებზე დამსწრე საზოგადოება გაეცნო ყირგიზეთის, ყაზახეთის, მოლდოვის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის ღია მონაცემთა პორტალების შექმნისა და მასთან დაკავშირებული ინიციატივების შესახებ ინფორმაციას.

ამ მხრივ მოწინავე ქვეყნებს შორის დასახელდა ქართული გამოცდილებაც, კერძოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლის მიერ ღია მმართველობის მონაცემთა განვითარების კონცეფციის შესახებ გაკეთებულმა მოხსენებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

შეხვედრებს ესწრებოდნენ სამთავრობო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მსოფლიო ბანკისა და UNDP-ის ექსპერტები, ასევე 10-მდე სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური პირები.

## საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ NSDI-სთან დაკავშირებით კონფერენცია გამართა



საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებით კონფერენცია-სემინარი გამართა. ორდღიანი კონფერენციის ძირითად მიზანს პროექტში ჩართულ სახელმწიფო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა, ასევე NSDI-ს თემატიკაზე სამინისტროებში არსებული დარგობრივი პროექტებისა და საქმიანობების ანალიზი წარმოადგენდა. ღონისძიებაზე განხილულ იქნა ის პრობლემებიც, რომლებიც ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნის პროცესს ახლავს.

NSDI-ს დახმარებით კიდევ უფრო მარტივი და ეფექტური გახდება გარემოსდაცვითი საკითხების, კატასტროფების, სოფლის მეურნეობის, თავდაცვის, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტების მართვა და ფუნქციონირება.

კონფერენცია საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მიხეილ მიხეილ სარჯველაძემ გახსნა.

ორი დღის განმავლობაში NSDI-ის განხილვაში ჩართულმა უწყებებმა წარადგინეს პრეზენტაციები, რომლებიც სხვადასხვა კომპონენტს, მათ შორის, სამართლებრივ რეგულაციებს, გეოგრაფიულ მონაცემებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს, ბიზნეს მოდელსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს მოიცავდა.

## საერთაშორისო კონფერენცია - „ინფორმაციული უსაფრთხოება კიბერსივრცეში“

3-6 დეკემბერს ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში გამართულ კონფერენციაში სახელწოდებით „ინფორმაციული უსაფრთხოება კიბერსივრცეში“ მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა **ირაკლი ლომიძემ** და იმავე სამმართველოს CERT-ის მენეჯერმა **დავით ქვათაძემ**.

საერთაშორისო კონფერენციას ადგილობრივ მონაწილეებთან ერთად ასევე ესწრებოდნენ აშშ-ის, კანადის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ესტონეთის, რუსეთის, ბელორუსის, უკრაინის, მოლდოვის, ყაზახეთისა და ტაჯიკეთის წარმომადგენლები. კონფერენციის მთავარი საკითხები იყო: (ა) ინფორმაციული უსაფრთხოება და კიბერსივრცე, როგორც მთავარი გამოწვევა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის; (ბ) კიბერუსაფრთხოების სტრატეგიები და მათი შინაარსის შედარებითი ანალიზი, სტრატეგიის მიზნები და გამოწვევები; (გ) სოციალური ქსელი, ტერორიზმი და კიბერდანაშაული - რეგულირება და მონიტორინგი; (დ) კიბერუსაფრთხოება და ეროვნული ტელეკომუნიკაციის კომპანიები - რეგულირება, უსაფრთხოება და მონაცემთა დაცვა; (ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვა - რეგულირება და არსებული პრაქტიკა - ევროპული გამოცდილება და კონკრეტული ტელეკომუნიკაციის კომპანიის - ბილაინის პრაქტიკა; (ვ) კრიტიკული ინფრასტრუქტურების დაცვა და ინტერნეტის მმართველობა (გაგრძელება გვ. 8).



(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 7)

**ირაკლი ლომიძემ** კონფერენციაზე გააკეთა პრეზენტაცია საქართველოში ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვის პროცესთან დაკავშირებით, ასევე ისაუბრა კრიტიკული ინფრასტრუქტურების ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ. **დავით ქვათაძე** კი გამოვიდა მოხსენებით კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფისა და ამ ჯგუფის მიერ დანერგილი სერვისებისა და აღმოჩენილი ინციდენტების შესახებ. კონფერენციის მონაწილეებს ერთ-ერთი საექსპერტო სესიის დისკუსიის ფარგლებში ასევე მიმართა სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსმა **ნატა გოდერძიშვილმა**, რომელმაც აუდიტორიას გაავანო საქართველო კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და ინფორმაციული უსაფრთხოების კანონი.

აღნიშნული ღონისძიების ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფდა ყირგიზეთის საზოგადოებრივი ორგანიზაცია - „ინტერნეტ პოლიტიკის სამოქალაქო ინიციატივა“.

## ყირგიზეთის დელეგაციის წევრებმა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს გამოცდილება გაიზიარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ყირგიზეთის სამთავრობო სარეგისტრაციო სამსახურისა და სამოქალაქო რეესტრის წარმომადგენლები ესტუმრნენ. სააგენტოს თანამშრომლებმა ყირგიზ კოლეგებს დეტალურად გააცნეს საქართველოში ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის, ელექტრონულის სერვისებისა და ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებული პროექტები, ასევე გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც სააგენტოს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულებებით დაუგროვდა.

ვიზიტის ფარგლებში ყირგიზი სტუმრები ასევე ეწვივნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და იუსტიციის სახლს.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. დღეს ჩვენს ყირგიზ კოლეგებს გაავაცანით სააგენტოს მუშაობის სფერო და ყველა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების განვითარებასთან. აღსანიშნავია, რომ ეს ვიზიტი გაგრძელებაა იმ წარმატებული შეხვედრებისა, რომლებიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ყირგიზეთში ღია მმართველობისა და კიბერსივრცეში ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციების დროს გამართეს.“ - განაცხადა **ნატო გოდერძიშვილმა**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსმა.

ყირგიზი კოლეგები ასევე გაეცნენ საქართველოში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციებს და ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ონლაინ პლატფორმას - მოქალაქის პორტალს (MY.GOV.GE).



იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ